თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №10

თბილისი, 13 ოქტომბერი, 2021 წ.

ქვეყანაში არსებული კორონავირუსის გავრცელების საფრთხეებიდან გამომდინარე, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გადაწყვეტილებით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 13 ოქტომბრის სხდომა გაიმართა ონლაინ რეჟიმში.

სხდომა დაიწყო 15:06 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ვალერიან გობრონიძე;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე გიორგი გამეზარდაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე სალომე ბახსოლიანი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი მანანა ბეგიაშვილი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი.

დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად წარმოდგენილნი იყვნენ:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დახმარების დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე ვაშალომიძე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ოსაძე;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი).

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
- „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) – თეკლე ზედელაშვილი.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – გიგი ჩიხლაძე;
- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე;
- „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
- „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ლაზარე ჯიბლაძე;
- „მრავალეროვანი საქართველო“ – დარეჯან გიორბელიძე;
- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, სხდომა გახსნა 15:06 საათზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის უფლებამოსილებისათვის საჭირო კვორუმის არსებობის დადასტურების შემდგომ თავმჯდომარის მოადგილემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა.
2. ინფორმაციის მოსმენა საარჩევნო ადმინისტრაციაში წარდგენილი საჩივრების შესახებ.
3. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის წევრების მოსმენა 4-11 ოქტომბრის მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ.
4. სხვადასხვა.

სხდომის გახსნის შემდეგ ბატონმა თორნიკემ თხოვნით მიმართა უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს მომდევნო შეკრებისთვის წინა სხდომებზე განხილული იმ საკითხების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ რეაგირების პროცესშია შესაბამისი უწყებების მხრიდან.

დღის წესრიგის მომდევნო საკითხიდან გამომდინარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ საარჩევნო ადმინისტრაციაში წარდგენილი საჩივრების შესახებ ინფორმაციის მოსასმენად სიტყვა გადასცა ცესკო-ს წარმომადგენელს, ბატონ გიორგი სანტურიანს.

ბატონი გიორგის განცხადებით, ამ ეტაპზე სასამართლოში მიმდინარეობს სამართალწარმოება განცხადება/საჩივრებთან დაკავშირებით. პირველ ინსტანციაში დავები დასრულებულია და სააპელაციო სასამართლოებში დავების განხილვის შემდეგ დასრულდება არჩევნების პირველ ტურთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების განხილვის ეტაპი. უნდა ითქვას, რომ, საერთო ჯამში, 58 საქმე იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს წარმოებაში, რომელთაგან მხოლოდ ერთი საქმე დაკმაყოფილდა და დაუბრუნდა მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიას განსახილველად, მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიამ კი, უკვე იმსჯელა ზემოხსენებულ საქმესთან დაკავშირებით და გამოიტანა შესაბამისი გადაწყვეტილება. რაც შეეხება სხვა საქმეებს, სააპელაციო სასამართლოში ჯერ კიდევ მიმდინარეა. ამ ეტაპისთვის მხოლოდ ერთი საქმე არ დასრულდა საარჩევნო ადმინისტრაციის სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციაში კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში სულ წარმოდგენილია 1832 საჩივარი, მათ შორის, 12 პოლიტიკური პარტიის მიერ – 1233 საჩივარი, 25 სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ – 599. რაც შეეხება დაკმაყოფილება/არდაკმაყოფილების სტატისტიკას, პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებით დაკმაყოფილდა 72, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 80, არ დაკმაყოფილდა 708, განუხილველად დარჩა 304, ადგილზე აღმოიფხვრა 7 და გაითხოვეს 33 საჩივარი. ამასთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენასთან

დაკავშირებული 29 საჩივარი კვლავ განხილვის პროცესშია, რადგან მათზე დადგენილია განხილვის უფრო ხანგრძლივი ვადა, ვიდრე კენჭისყრის პროცესთან დაკავშირებულ სტანდარტულ საჩივრებზე. სადამკვირვებლო ორგანიზაციების საჩივრებთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა 97, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 93, არ დაკმაყოფილდა 341, განუხილველად დარჩა 42, ადგილზე აღმოიფხვრა 2 და გაითხოვეს 3 საჩივარი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებთან დაკავშირებული სადამკვირვებლო ორგანიზაციების 21 საჩივარი განხილვის პროცესშია.

გადათვლა/ბათილობა/შედეგების გადასინჯვასთან დაკავშირებული 951 საჩივრიდან 741 წარმოდგენილია პოლიტიკური პარტიების მიერ, 210 – სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ, რომელთაგან, ჯამში, დაკმაყოფილდა 50, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 116 და არ დაკმაყოფილდა 523 საჩივარი. უფრო დეტალურად, სადამკვირვებლო ორგანიზაციების 210 საჩივრიდან დაკმაყოფილდა 20, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 57, არ დაკმაყოფილდა 114 და განუხილველად დარჩა 18 საჩივარი; პოლიტიკური პარტიების 741 საჩივრიდან დაკმაყოფილდა 30, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 58, არ დაკმაყოფილდა 410 და განუხილველად დარჩა 225 საჩივარი. უნდა ითქვას, რომ საჩივრების განუხილველად დატოვების საფუძვლები იყო ვადისა და წესის დარღვევა. მიმდინარე საარჩევნო წელს არაუფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილ საჩივართა რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო და განუხილველად დატოვების საფუძველი, ძირითადად, უმეტესად განცხადება/საჩივრების წარდგენის წესს უკავშირდება (მაგალითად, საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრის ავტორებმა წარადგინეს საჩივრები ბიულეტენების არასწორად გაბათილებასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც უბანზე ამგვარი საჩივარი საერთოდ არ დაფიქსირებულა). აღსანიშნავია, რომ მსგავს შემთხვევებში, საარჩევნო კოდექსის მოთხოვნაა, პირველ ჯერზე საჩივარი წარდგენილი იყოს საარჩევნო უბანზე და შემდგომ უკვე – საოლქო საარჩევნო კომისიაში. რაც შეეხება საჩივრების წარდგენის ვადის დარღვევას, იყო შემთხვევები, როდესაც სამი, ოთხი და ხუთი დღის შემდეგაც კი შემოვიდა შესაბამისი საჩივრები საოლქო საარჩევნო კომისიებში, მაშინ, როდესაც შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრება შესაძლებელია 2 დღის განმავლობაში. ცესკო-ს წარმომადგენლის თქმით, ხარვეზების მიუხედავად, საჩივრების განუხილველად დატოვების შემთხვევათა მაჩვენებელი არცთუ ისე მაღალია (1832 საჩივრიდან განუხილველად დარჩა მხოლოდ 346).

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე დაინტერესდა მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიასთან დაკავშირებული სასამართლო დავით. ბატონი გიორგი სანტურიანის საპასუხო განცხადებით, თავდაპირველად მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილი განცხადება/საჩივარი შეეხებოდა 8 საარჩევნო უბნის მონაცემების გადათვლას და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ბათილობის მოთხოვნას. მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიამ არ განიხილა ეს საჩივარი, რომელიც შემდგომ გასაჩივრდა სასამართლოში. სასამართლომ, თავის მხრივ, არასწორად მიიჩნია საჩივრის განუხილველად დატოვების განკარგულება და საოლქო საარჩევნო კომისიას დაავალა საჩივრის განხილვა. ხაზგასასმელია, რომ საჩივარში მითითებული 8 უბნიდან 5 ისედაც გადათვლილი იყო, 2 უბანთან დაკავშირებით კი, ოქმში არანაირი ხარვეზი არ არსებობდა. უბნების გადათვლის შემდეგ შედეგებმა მცირეოდენი ცვლილება განიცადა. ამგვარად, რაიმე მნიშვნელოვან დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

შემდგომ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გადავიდა მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ინფორმაციის განხილვაზე.

გენერალური პროკურორის მოადგილემ, ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა, ისაუბრა საკითხზე, რომელიც შეეხებოდა გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატ ირაკლი ღლონტის მიერ არჩევნების გაყალბების დამადასტურებელი გარკვეული მტკიცებულებების გასაჯაროებასა და სამართლებრივი დავის დაწყებას პროკურატურაში განცხადების შეტანის გზით. მომხსენებლის თქმით, მსგავსი განცხადება პროკურატურაში ვერ მოიძიეს. რამდენადაც არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებული საკითხები (გარდა ამომრჩევლის მოსყიდვისა) შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემდებარეა, არც ამ უწყებას დაუდასტურებია მსგავსი შინაარსის განცხადების მათთან რეგისტრაცია.

ამავე საკითხთან დაკავშირებით ცესკო-ს წარმომადგენელმაც აღნიშნა, რომ არც საარჩევნო ადმინისტრაციაში წარმოდგენილა მსგავსი საჩივარი. მისი თქმით, ოზურგეთის 41-ე საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმების შესაბამისად, 3-ხმიანი (ღლონტი მიუთითებდა 3 ბიულეტენის დაკარგვის თაობაზე) დისბალანსი არ დასტურდება. ბატონი გიორგის თქმით, რამდენადაც არც შემაჯამებელ ოქმებში იკვეთება მომჩივნის მიერ მითითებული დისბალანსი და არც მსგავსი საჩივარი ყოფილა შესული საარჩევნო ადმინისტრაციაში, გაურკვეველია, რა დარღვევას გულისხმობდა იგი.

ბატონმა გიორგი სანტურიანმა ისაუბრა თბილისის სხვადასხვა საარჩევნო უბნის შემაჯამებელ ოქმებში არსებულ გარკვეულ დისბალანსთან დაკავშირებითაც. მისი თქმით, გავრცელებულ ინფორმაციაში საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმები მცდარად იყო წარმოდგენილი, რადგან რიგ შემთხვევებში შემაჯამებელ ოქმებს ახლდა შესწორების ოქმები. ამასთან, საარჩევნო კომისიის მიერ აღნიშნული მონაცემების გადათვლის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრილია. კონკრეტულად, ვაკის შემთხვევაში, საერთოდ გაურკვეველია, საიდანაა აღებული 134 ხმა, რადგან შემაჯამებელ ოქმებში საერთოდ არ ფიქსირდება 134 ხმასთან დაკავშირებული ნაკლებობა. თუმცა, ვაკის ამავე უბანთან დაკავშირებით ინფორმაციაში შემდგომ ნათქვამია, რომ დაიკარგა 100 ხმა. ბატონი გიორგის განმარტებით, ამ 100 ხმასთან დაკავშირებით შემაჯამებელ ოქმს თან ახლდა შესწორების ოქმი, სადაც მითითებული იყო, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გრაფის გასწვრივ 60-ის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 160 და ცესკო-ს ვებგვერდზე აიტვირთა როგორც შემაჯამებელი, ისე შესწორების ოქმი. ასე რომ, ამ შემთხვევაში რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ისნის ერთ-ერთ უბანზე 49 ხმის დაკარგვის დისბალანსი შემაჯამებელი ოქმების გადამოწმების შედეგად არ ფიქსირდება.

რაც შეეხება საბურთალოს 86-ე საარჩევნო უბანზე 30 ხმის მეტობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ამ უბნის შემაჯამებელ ოქმებს ახლავს საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება, რომლის თანახმადაც, გადათვლილ იქნა ხელმოწერების რაოდენობა და მოსული ამომრჩევლების რაოდენობაში შევიდა ცვლილება. კერძოდ, 690 ამომრჩევლის ნაცვლად მიეთითა 720, რადგან რეალურად ტექნიკურად შეცდომით დაფიქსირდა მოსულ ამომრჩეველთა რაოდენობა. შესაბამისად, სახეზე იყო 30 ამომრჩევლის ნაკლებობა და მიეთითა სწორი მონაცემი. ამგვარად, მეტობას ადგილი არ ჰქონია.

გლდანის მე-6 საარჩევნო უბანზე 16 ხმის დაკარგვასთან დაკავშირებით ხაზგასასმელია, რომ აქაც სახეზეა შესწორების ოქმი.

ისნის მე-7 საარჩევნო უბანზე 49 ხმის დაკარგვასთან მიმართებით შესაბამის შემაჯამებელ ოქმს თან ახლავს საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება, სადაც ასახულია გარკვეული მონაცემების შესწორება. კერძოდ, ხარვეზი გამოიხატა იმით, რომ საუბნო მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმის შემთხვევაში, ბათილი ბიულეტენების რაოდენობის გრაფა იყო ცარიელი, რის გამოც საუბნო საარჩევნო კომისიამ გადაითვალა ეს მონაცემები და მიუთითა, რომ ბათილი ბიულეტენების გრაფაში უნდა ასახულიყო 45 ბიულეტენის რაოდენობა.

ისნის მე-2 საარჩევნო უბანზე რეგისტრირებულ და არჩევნებზე მოსულ ამომრჩეველთა რაოდენობასა და ამოსული ბიულეტენების რაოდენობას შორის შესაძლო სხვაობასთან დაკავშირებითაც სახეზეა შესაბამისი განკარგულება, რომლის თანახმადაც, გადათვლის საფუძველზე მიეთითა, რომ არჩევნებზე მოსული ამომრჩევლების რაოდენობა რეალურად იყო 655 და არა 1755. შესაბამისად, მიეთითა სწორი მონაცემი და ამის გათვალისწინებით არანაირ უხეშ დისბალანსს ადგილი არ ჰქონია.

როგორც ცესკო-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, ზემოდასახელებულ ყველა შემთხვევაში ან არსებობს საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება, რომელიც ეფუძნება დალუქული პაკეტების გახსნას და გადათვლას, ან შესწორების ოქმები.

მედიამონიტორინგით გამოვლენილ შემდეგ საკითხზე, რომელიც შეეხებოდა მცხეთის 26-ე საარჩევნო უბანზე ორი კარის არსებობას, რომელთაგან ერთ-ერთიდან შესაძლებელი იყო ამომრჩეველთა უკონტროლო შესვლა და ამ მხრივ საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ფარულად ჩაყრა, ბატონმა გიორგი სანტურიანმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული უბნის შემაჯამებელ ოქმებში რაიმე სახის მეტობა არ ფიქსირდება. ბიულეტენების ჩაყრის შემთხვევაში მკვეთრი დისბალანსი აუცილებლად გამოიკვეთებოდა. ორ შესასვლელთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საუბნო საარჩევნო კომისიას ნამდვილად ორი კარი ჰქონდა, თუმცა, რეალურად, ამომრჩეველთა ნაკადის მართვა და მათი უბანზე დაშვება ხდებოდა მხოლოდ ერთი კარიდან, მეორე კარი კი, მცირე ხნით ნამდვილად იყო ღია ეზოს მხარეს განთავსებულ საპირფარეშოში გასასვლელად. რაკი ერთ-ერთი სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ ამ საკითხზე საჩივარი დაიწერა და ადგილზეც გახმიანდა მეორე კარიდან შესაძლო გარკვეული პრობლემის შექმნის შესახებ, შესაბამისი რეაგირების შემდგომ კარი დაიკეტა. ვინაიდან ამომრჩეველთა ნაკადის მართვა და მათი უბანზე დაშვება ამ მეორე შესასვლელიდან არ ხდებოდა, ამ თვალსაზრისით რაიმე პროცედურულ დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი) კომენტარი გააკეთა ქუთაისთან დაკავშირებულ შემთხვევაზე („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატ იოსებ ხახალეიშვილის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის შესაძლო კანონდარღვევით ჩატარებასთან დაკავშირებით, კერძოდ კი, მერიის თანამშრომლებთან შეხვედრა და მათთვის შენიშვნის მიცემა პირველ ტურში არასაკმაო მობილიზების გამო).

ბატონმა ნიკოლოზმა წარმოადგინა მუნიციპალიტეტიდან მოწოდებული ინფორმაცია, რომლის შესაბამისადაც, ბატონ იოსებ ხახალეიშვილს (რომელიც მანამდე ქუთაისის მერი იყო) მერობის კანდიდატად რეგისტრაციის შემდეგ უფლებამოსილება შეუწყდა. ქუთაისის მერიაში ყოველი კვირის დასაწყისში იმართება თათბირი თანამშრომლებთან (ახლა უკვე მერის მოვალეობის

შემსრულებლის მიერ). ინფორმაციაში მითითებულ დღეს ბატონი იოსებ ხახალეიშვილი მერიის შენობაში იყო მისული თავისი კაბინეტიდან ნივთების წამოსაღებად. რამდენადაც მისი კაბინეტი ემიჯნება სათათბირო ოთახს, თათბირის დასრულებისას თანამშრომლებთან მოუხდა მცირეხნიანი (2-3-წუთიანი) კომუნიკაცია, რასაც არ ჰქონია სააგიტაციო ხასიათი.

ცესკო-ს წარმომადგენელმა საბურთალოს ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე „ლელოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის 115 ხმის დაკარგვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბურთალოს მე-17 საარჩევნო უბნის შემთხვევაში შემაჯამებელი ოქმის შედგენისას დაშვებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი (საუბნო მაჟორიტარული წესით შედგენილ შემაჯამებელ ოქმში „ლელოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ვახტანგ სურგულაძის სახელის გასწვრივ ხმების რაოდენობის გრაფაში გადატანილი იყო პარტიის №9 საარჩევნო რიგითი ნომერი). ამ მხრივ დისბალანსის გამოვლენის მიზნით საოლქო საარჩევნო კომისიამ საკუთარი ინიციატივით დროულად მოახდინა რეაგირება – გადაითვალა ზემოაღნიშნული უბნის მონაცემები და შეასწორა მაჩვენებელი.

ცესკო-ს წარმომადგენელმა, ზოგადად, ისაუბრა უბნების გადათვლის საკითხზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ 3664 უბნიდან (ე.წ. კოვიდუბნებისა და სხვა და გამონაკლისი უბნების გარდა) 811 უბანზე სრულად თუ ნაწილობრივ იქნა გადათვლილი მონაცემები, მაშინ, როდესაც 2020 წლის არჩევნებისას უბნების მხოლოდ 1% გადაითვალა. მისი თქმით, წლევანდელი გადათვლების მაჩვენებელი უპრეცედენტოდ მაღალია. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ გადათვლის შედეგად არ ფიქსირდება რაიმე ისეთი მონაცემი, რომელიც გავლენას მოახდენდა ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის არჩევა/არარჩევაზე.

მედიამონიტორინგის მომდევნო ორი საკითხი ეხებოდა ერთ ფაქტს (ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მირანდა მესხი ამბობს, რომ უკვე ორი დღეა, რაც მასზე მიზანმიმართული შეტევა ხორციელდება და კონკრეტული პირები პირადად მის დისკრედიტაციას ცდილობენ. იგი აღნიშნავს, რომ მზადაა, ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია, რადგან ყველა დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია; ხმაური ზუგდიდის საოლქო-საარჩევნო კომისიაში – ოპოზიცია შიშობს, უბნების გახსნისა და ბათილი ხმების გადათვლის შედეგად შესაძლოა, საკრებულოში უმრავლესობა დაკარგოს. ოპოზიციის თქმით, დალუქული ბიულეტენები საოლქო კომისიაშივე გახსნეს და ოცნებამ დამატებით 13 ხმა მიითვალა, რის გამოც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი ანა წითლიძე საოლქო კომისიის თავმჯდომარის წინააღმდეგ პროკურატურაში ჩივილს აპირებს. ადგილზე მისულმა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მერობის კანდიდატმა მამუკა წოწერიამ ბრალდებას პროვოკაცია უწოდა. ანა წითლიძის თქმით, მირანდა მესხმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული. მირანდა მესხი ბრალდებებს არ აღიარებს და ამბობს, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში ჩატარდა – „პროცესს ესწრებოდა საია, სამართლიანი არჩევნები, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, მედია. ყველამ ნახა, როგორ გაიხსნა თითოეული კონვერტი"). ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ (შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე) ზემომითითებულ საკითხზე საუბრის დაწყებამდე აღნიშნა, რომ, ზოგადად, არჩევნებმა მეტ-ნაკლებად მშვიდ გარემოში ჩაიარა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანაყოფები მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდნენ კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის ფაქტებზე რეაგირებისათვის. თითოეულ ფაქტზე მოსახლეობას სამინისტროს მხრიდან პროაქტიულად მიეწოდა ინფორმაცია და ეს მონაცემები ხელმისაწვდომია სამინისტროს ვებგვერდზეც.

ზემომითითებულ ინფორმაციებთან დაკავშირებით კი, მან აღნიშნა, რომ ფაქტზე დაიწყო წარმოება. გამოკითხვის მიზნით უწყებაში დაბარებული ქალბატონი ანა წითლიძე ამ დრომდე არ გამოცხადებულა. მისი გამოკითხვის შემდეგ ფაქტს მოჰყვება შესაბამისი რეაგირება.

ამავე საკითხზე ბატონმა გიორგი სანტურიანმა განაცხადა, რომ ზუგდიდის საუბნო საარჩევნო კომისიამ ღია სხდომაზე ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით გადაითვალა ბიულეტენები, ამასთან, ყველას ჰქონდა შესაძლებლობა, დაკვირვებოდა პროცესს. ბატონი გიორგის თქმით, სასამართლოში გასაჩივრებული გადათვლის შედეგები არ დაკმაყოფილდა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ამასთან, როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, შეძრწუნებულია იმ ფაქტით, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე გახდა უსაფუძვლო ზეწოლის მსხვერპლი და ქალბატონი მირანდა მესხის წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები ნამდვილად დაუსაბუთებელია.

ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ მომდევნო საკითხთან (ისნის საოლქო საარჩევნო კომისიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი თამილა ქუთათელაძე მის საქმიანობას უკავშირებს საკუთარი მანქანის დაზიანებას, მისივე სიტყვებით, ოცნების წარმომადგენლების მიერ, რადგან საჩივრების განხილვის დროს დაემუქრნენ) დაკავშირებით განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართვის შედეგად 2021 წლის 8 ოქტომბერს დაიწყო გამოძიება თამილა ქუთათელაძის ავტომობილის დაზიანების ფაქტზე (სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილი). როგორც ქალბატონი განმარტავს, მისთვის უცნობმა პირმა დააზიანა მისი კუთვნილი ავტომობილის უკანა საქარე მინა. ბატონი ალექსანდრეს თქმით, ტარდება საქმეზე შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები. დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში უწყების მხრიდან მოჰყვება შესაბამისი რეაგირება.

მედიაში გავრცელებულ მომდევნო ინფორმაციასთან დაკავშირებით (ამომრჩეველთა დაშანტაჟება, თუ ისინი ხმას ოცნებას არ მისცემდნენ; თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის კავშირი უბანზე მობილიზებულ „ძველ ბიჭებთან") თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა გრიგოლ გიორგაძემ, განაცხადა, რომ ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და, მისი მოსაზრებით, მიმართულია თავდაცვის ძალების დისკრედიტაციისკენ.

მედიამონიტორინგის ბოლო საკითხზე („მთავარი არხის" ჟურნალისტი დავით აბრამიშვილი თავის მაგალითზე საუბრობს, რომ მის მისამართზე უცხო პირია მიწერილი, რეგისტრაციიდან მოხსნას კი ვერ ახერხებს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი ლევან ხაბეიშვილი კი, ამბობს, რომ იუსტიციის სამინისტრო არიგებს ყალბ პირადობებს სანდო პირებზე, რათა მათ სხვადასხვა უბანზე მისცენ ხმა) ლევან ხაბეიშვილის ბრალდებასთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და მიმართულია იუსტიციის სამინისტროს დისკრედიტაციისკენ. ამასთან, სამინისტრო კატეგორიულად გამორიცხავს სიუჟეტში გასული ინფორმაციის სისწორეს. რაც შეეხება მისამართიდან რეგისტრაციის მოხსნის საკითხს, ბატონი თორნიკეს განმარტებით, არსებობს შესაბამისი პროცედურები: საცხოვრებელი სახლის მესაკუთრემ უნდა მიმართოს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" და წარადგინოს კომუნალური გადახდების ქვითრები (რაც დაადასტურებს გარკვეულ მისამართზე მცხოვრებ პირთა რაოდენობას). სხვა შემთხვევაში საჭირო იქნება ორი მოწმის დასტური, რომ შეცდომით ჩაწერილი პირი ნამდვილად არ ცხოვრობს

კონკრეტულ მისამართზე. ბატონი თორნიკეს განმარტებით, ზოგადად, შეცდომით ჩაწერის შემთხვევები შეიძლება უკავშირდებოდეს გადამისამართების პროცესს, ძირითადად, ე.წ. იტალიურ ეზოებში მცხოვრები ოჯახების მიერ ფართების ცალ-ცალკე დარეგისტრირებას, ან პირის მიერ კონკრეტული საცხოვრებლის შეძენის შემთხვევებს, როდესაც ახალი მეპატრონისთვის ადრე ჩაწერილი უცნობი პირი აღარ ამოწერილა მისამართიდან. ბატონი თორნიკეს თქმით, ამგვარი ერთეული ძველი მონაცემი შეიძლება იყოს ჩარჩენილი ბაზებში.

ბატონმა დავით ლილუაშვილმა (ა(ა)იპ „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი") გამოთქვა საკუთარი მოსაზრება ზუგდიდში საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეზე განხორციელებულ ზეწოლასა და მის საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტზე და აღნიშნა, რომ ამ კუთხით უფრო მეტი ინფორმაციის მიღებას ელოდებოდა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

ბატონი დავითის საპასუხოდ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ, როგორც უკვე ზემოთ ისაუბრა, ამ საკითხზე დაწყებულია წარმოება. ქალბატონი ანა წითლიძის უწყებაში გამოკითხვის მიზნით გამოცხადების შემდგომ საქმეს მიეცემა შესაბამისი მსვლელობა. რაც შეეხება თავად ზუგდიდის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ქალბატონ მირანდა მესხს, პირადად ამ დრომდე არ მიუმართავს სამართალდამცავი ორგანოსთვის.

ქალბატონი ლელა ხათრიძე (ა(ა)იპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" (ISFED) მიესალმა ბატონი გიორგი სანტურიანის სიტყვით გამოსვლისას ხაზგასმულ საარჩევნო კომისიების მიერ ხმების გადათვლის საკითხს და აღნიშნა, რომ, შარშანდელ არჩევნებთან შედარებით, ნამდვილად შეინიშნება პროგრესი ამ კუთხით.

რაც შეეხება ზოგიერთი საარჩევნო კომისიის ოქმებში არსებულ დისბალანსსა და კომისიის წევრების განმარტებას, რომ ეს გავლენას არ მოახდენდა შედეგზე, ქალბატონი ლელას აზრით, არასწორი მოსაზრებაა. ამიტომაც მისმა ორგანიზაციამ მიმართა სასამართლოს. ამასთან, მან დაგმო ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეზე ზეწოლის ფაქტები და განაცხადა, რომ ინფორმაცია აისახება ISFED-ის ანგარიშებში. ქალბატონი ლელას თქმით, საარჩევნო უბნებზე მისი ორგანიზაცია ახდენდა გარე პერიმეტრის მონიტორინგს და 100-მეტრიანი დისტანციის დარღვევის შემთხვევებში ადგილზე პოლიცია დაგვიანებით ცხადდებოდა, ხოლო მათი ორგანიზაციის მიერ შეტყობინების შემთხვევაში (შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სპეციალურად გამოყოფილი პირისთვის) სამართალდამცველთა რეაგირება გაცილებით მყისიერი იყო. მისივე თქმით, 100-მეტრიანი დისტანციის დარღვევის შემთხვევაში პოლიცია თავს არიდებდა ჯარიმის გამოწერას და მხოლოდ შეკრების დაშლით შემოიფარგლებოდა.

ქალბატონი ლელას საპასუხოდ, ცესკო-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ოქმების დისბალანსის საკითხებზე საუბარი უმჯობესი იქნებოდა გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ საარჩევნო კომისიებში ამ ეტაპზე მხოლოდ ორი ოქმის მეტობაა.

როგორც უკვე ზემოთ განაცხადა ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ, კანონმდებლობის შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრო ზემოხსენებულ შემთხვევებზე შეკრებილთ აძლევდა გაფრთხილებას, ხოლო განმეორებით შემთხვევაში პოლიციას უკვე შეეძლო ჯარიმის გამოწერა. მისი

თქმით, არჩევნების დღეს საპოლიციო დანაყოფები საკმაოდ ორგანიზებულად იყო მობილიზებული და განთავსებული საარჩევნო უბნებთან გარე პერიმეტრის მონიტორინგის მიზნით, 200-მდე შემთხვევაზე მოხდა რეაგირება გაფრთხილების კუთხით, ხოლო ერთ შემთხვევაში პირი დაჯარიმდა. საარჩევნო უბნებთან პოლიციის მობილიზებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროში შესულ საჩივრებთან მიმართებით ბატონმა ალექსანდრემ განმარტა, რომ ეს უწყებისთვის გარკვეული გამოწვევა იყო, რადგან, ერთი მხრივ, პოლიციას კანონმდებლობით ეკრძალება საარჩევნო უბანზე ყოფნა (თუ პოლიციის გამოძახების სპეციალური მოთხოვნა არ არის კომისიის თავმჯდომარის მხრიდან), ხოლო მეორე მხრივ, სამართალდამცველებს საარჩევნო უბნებთან 100 მეტრის დისტანციაზე უნდა გაეკონტროლებინათ ხალხის შეკრება. ამიტომაც იყო, რომ პოლიციის მხრიდან მოიძებნა ოქროს შუალედი და ყველა ზემოხსენებულ ფაქტს მოჰყვა შესაბამისი რეაგირება.

ბატონი გრიგოლ გაგნიძე (ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“) დაინტერესდა, რა ღონისძიებებს გეგმავს შინაგან საქმეთა სამინისტრო არჩევნების მეორე ტურისთვის.

ბატონი გრიგოლის საპასუხოდ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ისაუბრა კანონით გაწერილი პოლიციის კომპეტენციების შესახებ, თუ რის ფარგლებში შეუძლია რეაგირება არჩევნების დღეს. ამასთან, საარჩევნო პროცესებთან მიმართებით უწყების ფუნქციები საკმაოდ შეზღუდულია. მისივე თქმით, საარჩევნო პროცესის ორგანიზების კუთხით საკმაოდ პოზიტიურად შეფასდა როგორც ევროპარლამენტარების, ისე ეუთო/ოდირის მხრიდან. პირველი ტურის მსგავსად, მეორე ტურის დროსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო მაქსიმალურ ორგანიზებას გამოავლენს, რათა არჩევნები ჩატარდეს მშვიდ გარემოში და საარჩევნო კომისიის წევრებს მიეცეთ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობის თავისუფლად და ჯეროვნად შესრულების შესაძლებლობა.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს სხდომის მუშაობაში ონლაინ რეჟიმში ჩართვისთვის.

სხდომა დასრულდა 16:15 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე: თორნიკე ჭეიშვილი

კომისიის მდივანი: